პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 ოქტომბერი, ხუთშაბათი, 1987 წ.
№ 208 (9619) ◎ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ სიმფეროპოლში შედგა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი სსრ კავშირისა და ისლანდიის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით — 2:0.

ჩვენმა გუნდმა დაამთავრა ჩემპიონატის საკლასიფიკაციო თამაშები, 13 ქულა დააგროვა და შესარჩევ ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

საბჭოთა ფეხბურთელები გაისად მონაწილეობას მიიღებენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ გათამაშებაში, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართება.

პირველი სიურპრიზი და მისი ავტორი ლეილა მესხი

ინდიანოპოლისი. „პირველი სიურპრიზი ამ ტურნირში თბილისელმა ჩოგბურთელმა ლეილა მესხმა შემოგვთავაზა“ — წერდნენ აქ აკრედიტებული უცხოელი ჟურნალისტები. ინდიანოპოლისის ტურნირი ქალთა მსოფლიოს პირადი პირველობის ერთ-ერთი ეტაპია და ბუნებრივია, სპეციალისტები მას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

რატომ იყო ასეთი მოულოდნელი ლეილა მესხის გამარჯვება გათამაშების სტარტზე, პირველსავე მატჩში? საქმე ის გახლავთ, რომ თბილისელი ჩოგბურთელის მეტოქე

იხ. მე-3 გვ.

შემოგვთავაზეთ თქვენი წინადადება

სპორტის გულშემატკივრებს ახსოვთ, წელს, იანვარში, თბილისის სპორტის სახახლეში ჩატარდა შეხვედრა რესპუბლიკის 1986 წლის საუკეთესო სპორტსმენებთან. ფაქტიურად ეს იყო ხაზგასმა ხალამო, ხადაც თეატრალიზებულ ტონალობაში შეჯამდა საქართველოს სპორტსმენთა მთელი წლის მონაგარი. შეხვედრაზეიმმა ხაზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია და არაერთი მადლობის წერილიც გამოქვეყნდა პრესაში. ხწორედ მაშინ გამოითქვა ხურვილი ახეთი შეხვედრა ტრადიციად გვექცია.

იწურება 1987 წლის სპორტული ხეზონი. რეხპუბლიკის ხპორტსმენებმა წელხაც არაერთგზის გამოიჩინეს თავი — წარმატებით იასპარეზეს საკავშირო და საერთაშორიხო ხპორტულ ხარბიელზე. რაკი წლის ხპორტული შედეგების შეჯამების ტრადიციად დამკვიდრება გადაწყდა, დღის წესრიგში დგება საკითხი: როგორ გაეხადოთ ზეიმი უფრო შთამბეჭდავი და მიმზიდველი, უფრო ხადა და ხაქმიანი?

ხპორტი ჩვენი საერთო ხიხარული და... საერთო ხაზრუნავია. რეხპუბლიკის საუკეთესო ხპორტსმენებთან შეხვედრის წლევანდელი ღონისძიების ორგანიზატორები და „ლელოს“ რედაქცია მოგმართავენ თხოვნით, მოგვაწოდოთ თქვენი წინადადებები ხპორტული წლის შემაჯამებელი ზეიმის უკეთ ჩატარებასთან დაკავშირებით. ამავე დროს ცხადდება კონკურსი ზეიმის საუკეთესო ხცენარიხათვის, დაწესებულია ფულადი პრემია. წინადადებები, რომლებხაც მკითხველებისგან მივიღებთ, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული საერთო ხცენარში.

ხცენარისა და წინადადებების რედაქციაში წარმოდგენის ბოლო ვადაა მიმდინარე წლის 10 ნოემბერი.

აქ მორცხვი და გაუბედავი გოგო-ბიჭები ხულით ძლიერი და მხნე ადამიანები ხდებიან. ლენინგრადის დოხაააფ-ის ხაქალაქო აეროკლუბს უმდიდრესი ტრადიციები აქვს, ვინაიდან მის კედლებში ბევრი პილოტი, პარაშუტიხტი და პლანერიხტი აღზრდილა. იხინი მერე ხპორტხმენები ხდებიან და მსოფლიოს ანცვიფრებენ თავიანთი მაღალი ოხტატობით.

ამ ხკოლაში აღიზარდა პირველი ადამიანი, რომელიც ხტრატოხფეროდან პარაშუტით გადმოხტა. ეს იყო შემდგომში ცნობილი მფრინავი კ. კაიტანოვი. აქ ეუფლებოდა ფრენის ტექნიკას არანაკლებ ცნობილი პარაშუტიხტი და პილოტი ა. ევდოკიმოვი. მათ და მათ ამხანაგებს მფრინავის ხელოვნებას თვით ლეგენდარული ვალერი ჩკალოვი ასწავლიდა. ხკოლა დღესაც ხახელოვან კადრებს ზრდის.

ხურათზე: პარაშუტით ხტება ამ ხკოლის აღხაზრდელი, მედიცინის და ხვეტლანა ილინა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

„არც ერთი ფიზკულტურული კოლექტივი სპორტული მოედნის გარეშე!“

ჰაბაკი ზესტაფონიდან

ჩავებით რა საკავშირო კონკურსდათვალიერებაში, 1987 წლის 1 ივლისიდან დღემდე რაიონში მწყობრში ჩადგა მარტივი ტიპის 19 ახალი სპორტული მოედანი. გთხოვთ, საკონკურსოდ გაითვალისწინოთ: ფეროშენადნობთა ქარხნის მიერ მუშათა დასახლების, ბიბილაშვილის, ენგელსის და მარქსის ქუჩების ეზოების, არგვეთის საბჭოთა მეურნეობის სომ-სამი, შორაპნის ელემენტების ქარხნის საერთო საცხოვრებლის (ყვირილის ნაპირზე და გორკის ქუჩაზე), ღვინის მრეწველობის მეურნეობის ორ-ორი, ავტოგაერთიანება „ვაზის“, ლიმონათის ქარხნის, ლენინის ქუჩის, №3 საშუალო სკოლის, ქუთაისის ქუჩის თითო სპორტული მოედანი.

ეს მოედნები გაშენებულია საშეფო ორგანიზაციებისა და კომკავშირის რაიკომის აქტიური ხელშეწყობით. ოთხი მოედანი განათებითაა, დანარჩენების განათების საკითხიც მალე გადაწყდება.

მარტივი სპორტული მოედნების გაშენება ფიზკულტურულ კოლექტივებში გრძელდება.

თამაზ მანჩხაშვილი,
პროფკავშირთა ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების რაიხაბჭოს თავმჯდომარე.



ხურათებზე: არგვეთის საბჭოთა მეურნეობის (მარცხნივ) და ზესტაფონის ლიმონათის ქარხნის ახალი სპორტული მოედნები.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„276 ოჯახი სპორტული მოედნის გარეშე“.

ამ სათაურით „ლელოს“ 26 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ხსი „თბილქალაქპროექტის“ მიერ 1984 წელს დამუშავდა სამტრედიის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების პროექტი (დამტკიცებული ქალაქის მთავარი არქიტექტორის 1984 წლის № 102 ბრძანებით), რომელიც საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობასთან ერთად ითვალისწინებს სპორტული და ბავშვთა მოედნების მოწყობას. პროექტს ხორცი შეეხსმება გენგეგმით გათვალისწინებული ყველა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამთავრებისთანავე.

შ. უავლაშვილი,
ქალაქის მთავარი არქიტექტორი.

გარი კასპაროვის პირველი ტაიმ-აუტი

ხევილია, 28 ოქტომბერი. (საკდესი). არ შედგა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის მე-7 პარტია. თავისი პირველი ტაიმ-აუტი აიღო მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა. ჯერჯერობით ანგარიში მიუყავს ექს-ჩემპიონს, ანატოლი კარპოვს — 3,5:2,5. მეშვიდე პარტია უნდა გიმართოს პარასკევს, 30 ოქტომბერს.

ზეიმი-ექვსკილი

კოპენჰაგენი. დამთავრდა იუნიორ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. თავის ქვეჯგუფში სსრ კავშირის გოგონათა ნაკრებმა დაამარცხა ნიგერიის (35:13) და ესპანეთის (23:10) კოლექტივები და პირველი ადგილი დაიკავა.

ფენტანა (იტალია). აქ ჩატარდა იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი ციგურებით ყინულზე ცეკვაში, რომელშიც დიდი ბრიტანეთის, კანადის, იტალიის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, გფრ-ის, შვეიცარიისა და სსრ კავშირის 14 დუეტი ასპარეზობდა. პირველი ადგილი მოსკოველთა წყვილმა ირინა ანციფეროვამ და მაქსიმ სევასტიანოვმა დაიკავა.

ბონი. ნოემბრის მეორე ნახევარში გფრ-ში ჩატარდება ხელბურთელ ვაჟთა სუპერთასის გათამაშება. სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად ჯგუფში იასპარეზებენ გდრ-ის, იუგოსლავიის და რუმინეთის წარმომადგენლები. მეორე ჯგუფში გამოვლენ დანიის, შვეციის, ჩეხოსლოვაკიის და ადგილობრივი ხელბურთელები. მანამდე კი სსრ კავშირის ნაკრებმა თორმეტი ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა დანიისა და გფრ-ის ქალაქებში და ყველა მოიგო. ამ შეხვედრებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მინსკის არმიელებმა ა. კარშაკევიჩმა და ა. ტუჩკინმა.

ტოკიო. გრძელდება იაპონიის თასის ღია გათამაშება ფრენბურთში ქალთა გუნდებს შორის. მეორე ტურში ჩინეთის გუნდმა იტალიის ნაკრები დაამარცხა — 3:0, სსრ კავშირმა — აშშ 3:1, პერუმ — ბრაზილია 3:0, იაპონიამ — სამხრეთ კორეა 3:1.

...დარბაზში კი ციოდა

თბილისის კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში დაიწყო უმაღლესი ლიგის გუნდების ახალგაზრდულ შემადგენლობათა ტურნირი ცსკა-ს, ტალინის „კალევის“, კოვნის „სტროიტელის“, ვილნიუსის „სტატიბას“, დონეცკის „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ მონაწილეობით.

სასტარტო მატჩი შახტიორთან ჩვენმა კალათბურთელებმა თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად ჩაატარეს. განსაკუთრებით სცოდავდნენ ისინი გადაცემებისა და სროლების სიზუსტეში. და მაინც, შესვენებამდე „შახტიორმა“ მხოლოდ 2-ქულიან უპირატესობას მიაღწია— 39:37.

მეორე ტაიმის დასაწყისში ერთხანს მასპინძლები დაწინაურდნენ კიდეც 46:43. მაგრამ ამის შემდეგ გაუგებარი რამ მოხდა. 7-8 წუთის განმავლობაში სტუმრებმა 20 ქუ-

იხ. მე-3 გვ.

პირობები არის, ახლა მთავარია საქმე

ᲐᲠᲐᲐᲠᲗᲘᲡᲔᲚ თქმულა და დაწერილა, რომ საქართველოს მოცურავეები თავიანთი მომზადებით საკავშირო სტანდარტების დონეს უსაშველოდ ჩამორჩებიან. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით რესპუბლიკის მოცურავეთა ნაკრების უფროსი მწვრთნელის პოსტზე ბევრი სპეციალისტი გამოსცადეს, მრავალ ექსპერიმენტს მიმართეს, მაგრამ რაიმე ხელშესახები შედეგი მაინც ვერ მიიღეს. ნაკრების მწვრთნელები, რომელთაც არჩევანის გაკეთების საშუალება არა აქვთ, იძულებულნი არიან გუნდში ე. წ. უიმედო სპორტსმენები ჩარიცხონ.

ერთი სიტყვით, ნაკრების „საძირკველი“ კაპიტალურ რემონტს მოითხოვს და მანამდე არაფერი შეიცვლება, სანამ მწვრთნელები უკეთესად არ იმუშავებენ...

იმისთვის, რომ საქართველოს მოცურავეთა ნაკრებისთვის საბაზო გუნდი შეექმნათ, კიდევ ერთ სიახლეს მიმართეს — თბილისის სპორტკომიტეტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპეციალიზებული სპორტსკოლა შექმნეს. სკოლას სათავეში ჩაუდგა თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლისნო კომბინატის დირექტორი ვლადიმერ გოიაშვილი.

⊙ რის მიხედვით არჩევთ თქვენი სკოლისთვის აღსაზრდელებს?

— პირველ ყოვლისა, ვითვალისწინებთ სამედიცინო შემოწმების შედეგებს. ვიყენებთ ტესტებს და, რაც მთავარია, ცურვაში ვაწყობთ გამოცდას.

⊙ ალბათ უკვე შეიძლება შედეგების განზოგადება, რა გვიჩვენა პირველმა გამოცდებმა?

— საშუხაროდ, საიმედო არაფერი. სკოლაში 140 ბავშვს შეუძლია ისწავლოს, ჩვენ კი გამოცდაზე მოსული 56 ბავშვიდან 38 ძლივს შევარჩიეთ. უნდა ითქვას, რომ კონკურსში თბილისის განათლების სამმართველოს გუნდიდან არავინ მონაწილეობდა. ან ვინ უნდა მოსულიყო, როცა გუნდი არ ჰყოლიათ. აქამდე იმისთვის, რომ განათლების სამმართველოს აღსაზრდელებს სხვადასხვა შეჯიბრებებზე გამოსვლის საშუალება ჰქონოდათ, ამ უწყებისა და „განთიადის“ წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ. განათლების სამმართველოს გუნდი შეჯიბრებებზე „განთიადის“ სახელით გამოდიოდა. მხოლოდ ახლა აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი თვალის ასახვევად კეთდებოდა და გაიარკვა, განათლების სამმართველოს გუნდი, სინამდვილეში, „განთიადის“ გუნდი ყოფილა.

⊙ რა ასაკის ბავშვები შეარჩიეთ სკოლისთვის?

— მხოლოდ 13-14 წლის ბავშვები.

⊙ კი მაგრამ, ამ ასაკის მოცურავეები ხომ გაისად ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე უნდა გამოვიდნენ. რამდენადაც ვიცით, 13-14 წლის მოცურავეთა რესპუბლიკური ნაკრები ჩამოყალიბებულია და საკავშირო თამაშებისთვის უკვე ემზადება. რაღა აზრი აქვს ამ ასაკის მოცურავეთათვის თქვენს სკოლაში გაერთიანებას?

— მართალს ბრძანებთ, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ნაკრებს მიღმა დარჩენილმა მოცურავეებმა, კარგი ვარჯიშის შედეგად ოსტატობა აიმაღლონ და ჭაბუკთა საკავშირო თამაშებზე გამოსვლაც შეძლონ, ნაკრების კარი ხომ დაკეტილი არ არის. სხვათა შორის, 1973-74 წლებში დაბადებული მოცურავეები აქამდე ეგრეთწოდებულ სუბცენტრში ვარჯიშობდნენ. იქ 84 ბავშვი მეცადინეობდა. საქართველოს მოცურავეთა მესვეურები ამტკიცებენ, სუბცენტრის შექმნამ გარკვეული ნაყოფი გამოიღოო. იქნებ ასეცაა, მაგრამ პროგრესი მაინც უმნიშვნელო მეჩვენება. ახლა ჭაბუკთა ნაკრებში ნაწილი სწორედ იმ სუბცენტრიდან აიყვანეს, ნაწილი კი ჩვენს სკოლაში ჩაირიცხა, მაგრამ ნაკრებში მოხვედრილთაგან მხოლოდ ორი-სამის იმედი თუ შეიძლება გვქონდეს. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, თუ მომავალში დაგვავალებენ, ან იქნებ ჩვენმა სკოლამაც ითამაშ ჭაბუკთა და ახალგაზრდული საკავშირო თამაშებისთვის გუნდების მთლიანად ჩვენი ძალებით მომზადება.

⊙ თქვენს აუზში უამრავი ბავშვი ცურვის შემსწავლელ სააბონემენტო ჯგუფებში დადის. აქ არსებული წესის თანახმად, სამი თვის სიარულის შემდეგ ბავშვმა ცურვა უნდა ისწავლოს და... გამოგემშვიდობოთ. ზოგიერთ მათგანს სხვადასხვა სპორტსკოლების მწვრთნელები არჩევდნენ აღსაზრდელად, ნორჩების უმრავლესობა კი ბედის ანაბარა რჩებოდა. ამასთან, ამ აუზში ცურვის შემსწავლელ სააბონემენტო ჯგუფებში გაერთიანებული ბავშვების მშობლებისაგან ხშირად გაგვიგონია ჩივილი, ჩვენმა შვილებმა ისე დაამთავრეს ის სამთვიანი ჯგუფები, რომ ცურვა ვერ ისწავლესო. ისინი იძულებულნი ხდებიან ამ ჯგუფებში კიდევ სამი, ექვსი თვე ატარონ ბავშვები, მანამ ატარონ, სანამ ცურვას არ ისწავლიან. ამ მხრივ თქვენი აუზი გამონაკლისი არ არის. რაღა გასაკვირია, რომ საქართველოს მოცურავეთა ნაკრებს ასეთი არამყარი ბალავერი აქვს. განა არ აკობებდა, რომ ჯერ საძირკველი გაგვემაგრებინა? ამასთან, განა არ აკობებდა, იმ საძირკვლის გამაგრების შემდეგ თქვენი სკოლისთვის თქვენივე ცურვის შემსწავლელი სააბონემენტო ჯგუფებიდან შეგერჩიათ ბავშვები?



— დიახ, ცურვის შემსწავლელი ჯგუფები ძალზე უნაყოფოდ მუშაობენ. ეს რამდენიმე სუბიექტური და ობიექტური მიზეზით აიხსნება. იმის გამო, რომ ამ ჯგუფებში გაერთიანების მსურველი ძალზე ბევრია, იძულებულნი ვართ თითოეულ მათგანში 13-15-ის ნაცვლად 18-20 ბავშვი ჩავრიცხოთ, ეს კი მათთან მუშაობას აძნელებს. ახლა კონტინგენტსაც გადავხედოთ. ბავშვებს იმ ჯგუფებში ყოველგვარი შერჩევის გარეშე ვღებულობთ. ჩვენი მიზანია რაც შეიძლება ბევრმა ისწავლოს ცურვა. ამიტომ ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში გაერთიანებულთაგან ბევრი ფიზიკურად სუსტია ან სიმსუქნე აწუხებს და ექიმის რჩევით დადის აუზში. ზოგიერთ მშობელს სულაც არ აინტერესებს, რომ მისი შვილი მოცურავე გამოვიდეს, მას მხოლოდ ის უნდა, რომ მოზარდმა... ცურვა ისწავლოს. ყოველივე ამას მწვრთნელიც ხედავს და უგულოდ მუშაობს. და მაინც, ეს ყველაფერი მწვრთნელს არ ამართლებს. იმ სამ თვეში ჩატარებულ 32 მეცადინეობაზე კი არა, 15 ვარჯიშის შემდეგ ყველა ბავშვმა ცურვა უნდა ისწავლოს. ამიტომ გადავწყვიტეთ დეკემბრიდან ბავშვებმა სამი თვის განმავლობაში კვირაში მხოლოდ ორ მეცადინეობაზე იაროონ. ეს საშუალებას მოგვცემს ჯგუფების რაოდენობა გავზარდოთ, ხოლო თითოეულ ჯგუფში მომეცადინეთა რაოდენობა შევამციროთ. მწვრთნელებს ხარისხიანი მუშაობის საშუალება გაუჩნდებათ და ჩვენც მათდამი მომთხოვნელობას გავზრდით. რაც შეეხება იმას, რომ ეს ბავშვები ცურვის სწავლის შემდეგ ჩვენვე გავზარდოთ და დავოსტატოთ, ამაზე დიდი ხანია ვიბრძვით, მაგრამ უშედეგოდ. ვფიქრობთ, მიზანს მაინც მივაღწევთ, მერე კი ჩვენი სკოლისთვის კონტინგენტს ჩვენივე აუზში გაზრდილი ბავშვებისგანაც შევარჩევთ.

⊙ თქვენს სკოლაში მწვრთნელებად ვინ მოიწვიეთ? კარგი მწვრთნელი ხომ, როგორც იტყვიან, სანთლით საძებნია.

— სკოლის უფროს მწვრთნელად ლეონ ვეჩხიაზრის ვუხმეთ, სასწავლო ნაწილს ყოფილი მოცურავე დავით სირაძე ხელმძღვანელობს, ისინი ჩემი პირადი მოსაზრებით შევარჩიეთ. ამაზე რესპუბლიკის ოლიმპიადა, ოლიმპიადა ლენინგრადი დაეკარგებოდა, ოლიმპიადებად კი მოვიდნენ ისინი. ვისი ინსტრუქციებიც შევარჩიეთ, უფროს მწვრთნელის კანდიდატურების დასახელება თავად ცურვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების ხელმძღვანელობას მივანდეთ, ოღონდ საბოლოო არჩევანი ჩვენ დავიტოვეთ.

⊙ მწვრთნელების შერჩევამ უმტკივნეულოდ ჩაიარა? ან იქნებ ზოგიერთი თავის აღსაზრდელს ვერ იმეტებს?

— ზემოთ ვთქვი, რომ 38 ბავშვი შევარჩიეთ. მათგან ჩვენს სკოლაში სამეცადინოდ 30 დადის. დანარჩენი 8 იური კარდიანოვის აღსაზრდელია. კირდიანოვმა ჩვენს სკოლაში მუშაობაზე უარი განაცხადა. მას ხელს არ აძლევდა ის დრო, რომელიც ჩვენთან სამეცადინოდაა გამოყოფილი. იგი თავის აღსაზრდელებთან დამოუკიდებლად იმუშავებს და ფიქრობს, რომ ასე მას უკეთესი პირობები ექნება.

⊙ ცნობილია, რომ თქვენს აუზში ვარჯიშის მართლაც შესანიშნავი პირობებია. მაგრამ საინტერესო ისაა, თქვენი ახალშექმნილი სპორტსკოლა რაიმე განსაკუთრებული პროგრამით ხომ არ მუშაობს?

— ჩვენ არავითარი განსაკუთრებული და განსხვავებული პროგრამა არა გვაქვს. არსებობს ცურვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლების მუშაობის დებულება და ჩვენც იმით ვხელმძღვანელებთ. უბრალოდ, ჩვენთან მწვრთნელთა მუშაობას მკაცრად შევამოწმებთ. ზემოთ, როცა პირობებზე ვსაუბრობდით, მე უბრალოდ მხოლოდ ვარჯიშის პირობები არ მქონდა მხედველობაში. ჩვენს სკოლაში ბავშვები მთელ დღეს ატარებენ. აქ ტრეერადი კვება აქვთ. რუსული სკოლის მოსწავლეებს გაკვეთილები აქვე უტარდებათ. ამას ქართული სკოლის მოსწავლეთათვის ჯერჯერობით ვერ მივაღწიეთ, მაგრამ სულ მალე ამ პრობლემასაც გადავჭრით. ჩვენი სკოლის ბავშვებს საშუალება აქვთ აქვე მოამზადონ გაკვეთილები, აქვე უყურონ კინოფილმებს, ტელევიზორს... ერთი სიტყვით, ჩვენი სკოლის აღსაზრდელებს აქ ყველა პირობები აქვთ და ვფიქრობ, ეს სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

საუბარი ჩაიწერა
ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲣᲩᲘᲜᲐᲠᲘ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ

რით ჰგავს საჭადრაკო პარტია ცხოვრებას?

საღამოს ხუთი საათია. მალე მორიგი ტური დაიწყება, მაგრამ მსაჯი უკვე მოსულა. მაგიდებს თავს დასტრიალებს, საჭადრაკო საათების სისწორეს ამოწმებს... ტურისთვის ყველაფერი მზადაა...

რესპუბლიკის პირველი კატეგორიის მსაჯი ავთანდილ გოგოლაძე. სიმპათიური, საშუალო ტანის მამაკაცი. მალე 50 წელი შეუსრულდება, მაგრამ ჭაბუკივით ხალისიანია—თავისი საქმის ერთგული და თაყვანისმცემელი. ავთანდილ გოგოლაძე 10-11 წლისა უკვე კარგ მოჭადრაკედ ითვლებოდა, მაგრამ ცხოვრებაში მაინც სხვა გზა აირჩია. ავთანდილი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩაირიცხა და ტელემექანიკოსის პროფესია მიიღო. დღეს იგი თბილისის მაუდკომოლის კომბინატში მუშაობს საამქროს უფროსად. ამბობს: სწორედ ჭადრაკმა დამარწმუნა, რომ ერთდროულად რამდენიმე მიზნის დასახვა და სხვადასხვა საქმიანობაში წარმატების მიღწევა შეუძლებელია. საჭადრაკო პარტიაში ერთსა და იმავე დროს ლაზიერის ფრთაზეც, ცენტრშიც და მეფის ფრთაზეც ვერ ითამაშებ. და თუ ითამაშებ, ასეთი ტაქტიკით მოგებული პარტია სიხარულს ვერ მოგანიჭებს. ამითაც ჰგავს საჭადრაკო პარტია ცხოვრებას. მიზანს ერთგულება სჭირდება... დიახ, ავთანდილ გოგოლაძე საქმის ერთგული კაცია. კომბინატში კი დაიწყო მუშაობა, მაგრამ... ჭადრაკს ვერ შეელია. შეჯიბრებებშიც მონაწილეობდა და მალე ოსტატობის კანდიდატი გახდა.

— სიამოვნებით ვიხსენებ ჩემს ერთ-ერთ დიდ წარმატებას, — ამბობს იგი, — ეს იყო სპორტკლუბ „ივერიის“ პირველობა, სადაც რაულ კაპანაძესთან ერთად ჩემპიონის სახელი მოვიპოვე. ვერც წარმოიდგენთ, როგორ გამახარა ამ გამარჯვებამ...

გავიდა დრო, ავთანდილ გოგოლაძემ თამაშს თავი დაანება და მსაჯობას მიჰყო ხელი.

— რას ვიფიქრებდი, მსაჯი თუ გავხდებოდი. ცნობილმა პედაგოგმა ალექსანდრე ბლაგიძემ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი.

ჭადრაკის სასახლის პირველობისა და თბილისის პირველობის ნახევარფინალები და ფინალები, სპორტკლუბების პირველობები, სხვადასხვა საკავალიფიკაციო ტურნირები... თითქმის 100-მდე შეჯიბრებას გაძღოლია ავთანდილ გოგოლაძე და მონაწილეები და ორგანიზატორები ყოველთვის მადლიერი ჰყოლია.

— როგორ შეიძლება გულგრილად აკეთო ის საქმე, რომელიც გიყვარს და რომელიც ხალხს სჭირდება. მეც მიყვარს ჩემი საქმე და ამიტომ არ ვიოლატობ მას. სამწუხაროდ, ამ საქმისადმი ბევრი არ იჩენს ინტერესს, განსაკუთრებით ახალგაზრდა მოჭადრაკეები პასიურობენ.

...ტური დაიწყო და ავთანდილ გოგოლაძეს ახალი საზრუნავი გაუჩნდა — ხომ არაფერი სჭირდებათ მოჭადრაკეებს? ყველაფერი უნდა იღონოს იმისთვის, რომ ტურმა მშვიდად ჩაიაროს და მონაწილენიც კმაყოფილნი იყვნენ თავიანთი თამაშით...

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ავთანდილ გოგოლაძე (შუაში) თვალს ადევნებს თბილისის პირველობის ნახევარფინალური ტურნირის ერთ-ერთ შეხვედრას ი. პოპოვსა და ბ. გვენცაძეს შორის.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲙᲝᲢᲝᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲔᲠᲗ თვეს გაგრძელდა ქარელის რაიონული გაზეთის პრიზის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრება წრიული სისტემით ჩატარდა.

ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ რაიკოოპერატივისა და ავტოსარემონტო ქარხნის ფეხბურთელები. გაიმარჯვა და გარდამავალი თასი დაისაკუთრა რაიკოოპერატივის გუნდმა. მეორე ადგილზე ავტოქარხნელები გავიდნენ. ეს შეჯიბრება მეოთხედ გაიმართა და მაყურებელთა და სპორტსმენთა მოწონებით სარგებლობს, შეჯიბრების პოპულარობა ყოველწლიურად იზრდება.

ᲡᲣᲚᲘᲙᲝ ᲮᲔᲗᲐᲒᲣᲠᲘ,
ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ �გᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘ.

* * *

ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐᲨᲘ სამ კვირას მიმდინარეობდა უბნებს შორის რაიონის პირველობა მინიფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღო 18 გუნდმა. საინტერესოდ წარიმართა ფინალური შეხვედრა ნაძალადევის გუნდსა და რუსთაველის უბნის „თამთას“ შორის. ნაძალადეველებმა გაიმარჯვეს — 4:1 და პირველი ადგილი დაიკავეს. სტადიონის უბნის გუნდმა დაამარცხა ლენინის რაიონის „კოსმოსი“ და მესამე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა.

გამარჯვებული გუნდი გარდამავალი თასითა და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

Რ. ᲑᲐᲠᲜᲝᲕᲡᲙᲘ,
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲢᲔ�გᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲡᲐᲯᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ.

ᲗᲕᲔᲖᲔ მეტ ხანს გაგრძელდა ენგურჰესის მშენებელთა სპარტაკიადა „მხნეობა და ჯანმრთელობა“. ასპარეზობაში, რომელიც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა, 12 ფიზკულტურული კოლექტივის წევრებმა მიიღეს მონაწილეობა.

შეჯიბრებაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავა ჰიდროსპეცმშენებელთა ფიზკულტურულმა კოლექტივმა (მეთოდისტი მ. ქარდავა). მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, სასიმაღლო კაშხალებისა და მიწისქვეშა აღჭურვილობის საშენებლო სამმართველოების გუნდები გავიდნენ.

Ლ. ᲙᲣᲘᲛᲯᲘᲐᲜᲘ,
ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲚᲣᲑᲘ „ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ.

* * *

ᲭᲘᲐᲗᲣᲠᲘᲡ სპორტკომბინატ „მაღაროელის“ დარბაზში ჩატარდა ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკური სპორტული თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კალათბურთში.

ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ჭიათურის ნაკრებმა გუნდმა. მეორე ადგილზე გავიდა სამხრეთ ოსეთის გუნდი, მესამეზე— საჩხერის ნაკრები.

ვაჟთა ტურნირშიც პირველობა ჭიათურელებს ერგოთ, მეორე—გორელებს, მესამე — დუშელებს. ჭიათურის გუნდი ჭაბუკთა რესპუბლიკური თამაშების ფინალურ შეჯიბრებაში გამოვა.

ᲕᲐᲟᲐ ᲚᲣᲠᲡᲛᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.
„ᲚᲔᲚᲔᲚᲝᲡ“ ᲙᲝᲠ.

I ლიგა

27 ოქტომბერს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო პირველობის 42-ე ტურის მატჩები.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „დაუგავა“ (რიგა) 2:0 (2:0)

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი.

„ტორპედო“: მიქაძე, სოხაშვილი (ბაკრაძე), თევზაძე, ბზიკაძე, პაპავა, შენგელია, ბიგვავა (გიგატაძე), მანგაძე (ციკარიშვილი), უგრელიძე, გოგრიჭიანი, ხარაბაძე.

„დაუგავა“: კულაკოვი (კარავაევი), ანაშკინი, სტეპანოვი, სემიონოვი, შევლიაკოვი, პოპკოვი (ემელიანოვი), შატიკი, შესტაკოვი, დრუპასი, მილევსკი, სემიონოვი (ალექსეენკო).

მსაჯი ა. ბალაკინი (კიევი).

გააფრთხილეს სტეპანოვი.

მთელი სეზონის დანაკარგს ტორპედოელები მხოლოდ ახლა ინაზღაურებენ და, შეიძლება ითქვას, ბოლო რამდენიმე ტურია მათს თამაშში თვალსაჩინო პროგრესი იგრძნობა. ფეხბურთელებმა აშკარად მოუმატეს ოსტატობას, გაუმჯობესდა ფიზიკური მომზადება, მეტია მონდომებაც. ყველაფერი ეს ცხადად ჩანდა რიგის „დაუგავასთან“ მატჩშიც.

მასპინძლებმა პირველ წარმატებას უკვე მე-12 წუთზე მიაღწიეს, რაშაც გარკვეული რწმენა შეიტანა მოთამაშეებში. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ქარში თამაში ჭირდა, „ტორპედო“ მეტოქეზე უფრო აქტიურად გამოიყურებოდა, პირველი ბურთი უგრელიძემ გაიტანა ინდივიდუალური გარღვევის შემდეგ, 30-ე წუთზე კი შენგელიამ მეორედ აიღო რიგელთა კარი.

თამაზ ხარაბაძე,
ტელეფონით „ლელოს“ კორ.

„დინამო“ (ბათუმი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:0 (2:0)

ბათუმი. „დინამოს“ სტადიონი.

„დინამო“: კუცია, გოგიტიძე, დურდიაძე, ანდღულაძე, ჩიქოვანი, ზედანია, კიკლიაშვილი, ათუაშვილი, ბარათაშვილი, გორგილაძე, ქობელაშვილი (მაჭუტაძე).

„შინიკი“: ვოლნუხინი, სოტნიკოვი, კოლესნიკოვი (ბიკოვი), ნიკიტინი, მოროზოვი, პისკუნოვი, მარტიანოვი, ბილიალეტდინოვი, გავრილოვი (როგინი), ბოდროვი, პოპოვი.

მსაჯი ა. ლიტვინკინი (კიევი).

ამ თამაშამდე მეტოქეებს ერთმანეთთან სულ 7 მატჩი ჰქონდათ ჩატარებული, სამჯერ გაიმარჯვეს ბათუმელებმა, ამდენჯერვე — იაროსლავლელებმა და ერთი შეხვედრაც ფრედ დამთავრდა. ეს გარკვეულ ინტერესს მატებდა თამაშს, თანაც ახლანდელ სატურნირო ცხრილში „შინიკს“ გაცილებით უკეთესი მდგომარეობა ჰქონდა. ამიტომაც დინამოელებს მთელი შესაძლებლობით მართებდათ ბრძოლა გამარჯვებისთვის.

ამ მიზნის შესასრულებლად მასპინძლებმა სრული მობილიზებით, ენერგიულად იბრძოლეს და მიზანსაც მიაღწიეს: 31-ე წუთზე გორგილაძემ დაახლოებით 25 მეტრიდან ძლიერად დაარტყა კარში და ვოლნუხინმა პირველი ბურთი გამოიტანა კარიდან, ტაიმის დამთავრების წინ კი „შინიკის“ მცველებმა თავიანთი კარის სიახლოვეს წააკიეს ზედანია და ბარათაშვილმა ზუსტად დაარტყა 11-მეტრიანი — 2:0.

ბათუმის „დინამო“ შესვენების შემდეგაც აქტიურად თამაშობდა, გამარჯვების შენარჩუნება მას არ გასჭირვებია.

ოთარ მურვანიძე,
ტელეფონით ჩვენი კორ.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „პამირი“ (დუშანბე) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „კუზბასი“ (კემეროვო) 0:1, ასკ (დონის როსტოვი) — „გეოლოგი“ (ტიუმენი) 1:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) 5:2, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — ასკ „კარპატი“ (ლვოვი) 5:3, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 1:1, „ფაკელი“ (ვორონეჟი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:1, „როტორი“ (ვოლგოგრადი) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 2:0.

31 ოქტომბერს შედგება ბოლოსწინა ტურის მატჩები. ბათუმის „დინამო“ ოდესაში შეხვდება „ჩერნომორეცს“, ხოლო ქუთაისის ტორპედოელები ლვოვში ითამაშებენ ასკ „კარპატისთან“.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ოქტომბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჩერნომ.“	40	23	12	5	65–30	58
„ლოკომ.“	40	23	12	5	58–24	58
„დაუგავა“	40	18	14	8	62–35	48
„პამირი“	41	19	7	15	54–44	45
„ფახთაქ.“	41	16	11	14	46–43	43
ასკ „კარ.“	40	15	12	13	55–43	42
„კოლოსი“	40	15	10	15	58–60	40
„კუზბასი“	40	14	14	12	38–35	40
„მეტალურ.“	40	14	12	14	50–49	40
„ზარია“	40	13	14	13	44–54	38
„კოტაიკი“	40	15	7	18	53–55	37
ასკ რ.	40	15	7	18	39–53	37
„გეოლოგი“	40	14	8	18	40–51	36
„შინიკი“	40	14	8	18	25–40	36
„როტორი“	40	13	10	17	45–46	36
„როსტს.“	40	12	13	15	46–54	36
„დინ.“ ბ.	40	12	11	17	36–40	35
„სპარტ.“	40	11	12	17	34–42	34
„დინ.“ სტ.	40	11	15	14	42–51	34
„ტორპ.“ ქ.	40	11	12	17	28–46	34
„ფაკელი“	40	10	15	15	33–37	32
„კრ. სოვ.“	40	9	12	19	37–58	30

პირველი სიურპრიზი დარბისეული ბილიარდისტისგან

(დასასრული)

ამერიკელი მელისა გარნი თავისი ქვეყნის „მეათე ჩოგნად“ ითვლება, 19 წლის მესხს კი მსოფლიო კლასიფიკაციაში ჯერჯერობით 109-ე ადგილი უკავია.

პირველ პარტიაში ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო და 19 წლის თბილისელმა იგი დიდი მდელვარების შემდეგ მოიგო — 7:5. სამაგიეროდ მეორე პარტიაში მისი უპირატესობა უკვე აშკარა იყო და გამარჯვებასაც ჩვენმა სპორტსმენმა შედარებით იოლად მიაღწია — 6:0.

სპორტულმა მიმომხილველებმა თავიანთ ანგარიშში ამ შეხვედრის აღწერას დიდი ადგილი დაუთმეს: „მესხმა გაუძლო მეტოქის მიერ დანთებულ ცეცხლს და ვაკაციურად მოიგერია ქარიშხალი პირველ პარტიაში. მერე კი განუკითხავად ბატონობდა კორტზე, ვითომ იქ არც იყო მეტოქე“.

რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტმა აღნიშნა, რომ თბილისელი ჩოგბურთელის პროგრესი, ბოლო დროს, შესამჩნევია. თავისი სიტყვების დასტურად კორესპონდენტმა გაიხსენა მესხის ამასწინანდელი გამოსვლა ჰამბურგში, სადაც მან გფრ-ის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ბეტინა ბუნგე დაამარცხა.

უიმბლდონის, აშშ-სა და საფრანგეთის ჩემპიონი გოგონათა შორის მინსკელი ნატალია ზვერევა კორტზე ჯერ არ გამოსულა. აი, მესამე საბჭოთა ჩოგბურთელმა ნატალია ბიკოვამ კი სასტარტო შეხვედრაში ავსტრალიელ ლუიზა ფილდს აჯობა.

...დარბაზში კი ციოდა

დასასრული

ლა აიღეს, მასპინძლებმა კი... მხოლოდ 4. ბრძოლის ბედიც სწორედ ამ მონაკვეთში გადაწყდა.

მატჩის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე დინამოელები გააქტიურდნენ და სხვაობა 10 ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ ეს იყო და ეს. შეხვედრა „შახტიორმა“ მოიგო — 78:68.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მოსკოვის არმიელებმა, რომლებმაც ტალინის. „კალევს“ 31 ქულით აჯობეს — 101:70 (51:33).

შესაშური სნაიპერული თვისებები გამოამჟღავნა „სტროიტელის“ კალათბურთელმა ფეშენკომ (32 ქულა).. სწორედ მისი დიდი დამსახურებაა, რომ კიეველებმა ვილნიუსის „სტატიბა“ დაამარცხეს — 79:60 (36:26).

SOS

ალბათ გახსოვთ, რა სიხარულით შეხვდნენ სპორტის მოყვარულები კიროვის პარკში ბავშვთა კალათბურთის სასახლის მწყობრში ჩადგომას. ამ მოვლენისადმი მიძღვნილ დიდსა და ლამაზ ზეიმზე მადლობა უთხრეს მშენებლებს, ენთუზიასტებს, უყველას, ვინც წვლილი შეიტანა ახალი სპორტული ბაზის აშენებაში.

იხინი მართლაც იმსახურებენ მადლობას. სასახლის ღირსებები ეჭვს არ იწვევს და სპორტის მცოდნეები აღტაცებაშიც მოჰყავს, მაგრამ...

ამჟამად დარბაზში აუტანელ სიცივეს დაუსადგურებია. ეს უველაზე ადრე იგრძნეს კალათბურთელებმა და მაყურებლებმაც, რომელთა ერთმა ნაწილმა თამაშების დამთავრებამდე ველარ გაძლო ცივ დარბაზში და სასახლე დატოვა.

დიახ, ზამთარი კარსაა მომდგარი. ამას ყველა ვხედავთ და ვგრძნობთ. კალათბურთის სასახლის გათბობის საკითხი დროზე თუ არ მოგვარდა, იქნებ მის კარზე ბოქლომის დაკიდება გახდეს საჭირო.

* * *

გუშინ გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები: „შახტიორი“ — „კალევი“ (ტალინი) 92:90 (44:48), ცსკა — „სტატიბა“ (ვილნიუსი) 101:64 (49:30), „დინამო“ (თბილისი) — „სტროიტელი“ (კიევი) 90:70 (42:41).

ფეხბურთი

ფინალში: „სპარტაკი“ — „მეტალისტი“

27 ოქტომბერს მოსკოვში შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის მეორე ნახევარფინალური მატჩი, მოსკოვის „სპარტაკმა“ მიიღო ვილნიუსის „ჟალგირისი“.

თამაში მოიგეს სპარტაკელებმა — 1:0. ბურთი 30-ე წუთზე გაიტანა შმაროვმა. აღსანიშნავია, რომ მოსკოველთა რიგებში არ გამოდიოდნენ წამყვანი ფეხბურთელები დასაევი, სუსლოპაროვი, როდიონოვი, ბუბნოვი, ე. კუზნეცოვი, პასულკო, ხოლო „ჟალგირისმა“ მინდორზე საერთოდ სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანა.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის თასის ფინალური მატჩი შედგება 21 ნოემბერს. ერთმანეთს შეხვდებიან „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი).

გუშინ გორში, ევროპის პირველობის შესარჩევ მატჩში, საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრები რუმინელ თანატოლებს ეთამაშა. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 2:0. გოლები გაიტანეს პოპოვიჩმა და ხალენკომ (თერთმეტმეტრიანით).

მსაჯთა რეესტრი

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დამტკიცა არბიტრთა სია, რომლებიც იმსაჯებენ საკავშირო ჩემპიონატის ნოემბრის მატჩებს. გთავაზობთ საქართველოს გუნდების შეხვედრათა მსაჯების სიას:

8 ნოემბერი. „დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (თბილისი). ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

10 ნოემბერი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „გურია“ (ლანჩხუთი). ვ. ლისენკო (ოდესა).

12 ნოემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი). ი. ტიმოშენკო (დონის როსტოვი).

15 ნოემბერი. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი). ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).

16 ნოემბერი. „დინამო“ (კიევი) — „გურია“ (ლანჩხუთი). ვ. ფილიპოვი (მოსკოვი).

14 ნოემბრის მატჩს მოსკოვის „ტორპედოსა“ და ერევნის „არარატს“ შორის იმსაჯებს თბილისელი არბიტრი ვ. მიმინოშვილი.

ამხანაგური მატჩი

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ ბრატისლავაში ამ ქვეყნის ეროვნულმა ნაკრებმა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა პოლონეთის გუნდთან.

მატჩი დამთავრდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების გამარჯვებით — 3:1, ბურთები გაიტანეს დანეკმა, მიჩინეცმა და ბილეკმა, ხოლო სიპასუხო — ტარასევიჩმა.

გფრ-ის ნაკრების ტურნე

გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების ხელმძღვანელმა ფრანც ბეკენბაუერმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში მისი გუნდი ტურნეს გამართავს სამხრეთ ამერიკაში: 13 დეკემბერს რიოდე-ჟანეიროში შეხვდება ბრაზილიელებს, ხოლო 16 დეკემბერს ბუენოს-აირესში არგენტინელ ფეხბურთელებს.

რუმენიელი — „ხერვეტში“

გფრ-ის ფეხბურთელთა ნაკრების უოფილმა კაპიტანმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ, რომელიც დიდ ხანს მკურნალობდა, გამოჯანმრთელების შემდეგ მილანის „ინტერთან“ კონტრაქტი აღარ განაახლა. ვეტერანი ერთხანს ეცადა სამშობლოში დაბრუნებულიყო, მაგრამ კონტრაქტი არავინ შესთავაზა, ამიტომ მან შვეიცარიის პირველი ლიგის კლუბ „სერვეტში“ დაიწყო თამაში.

გატისტონის განცხადება

საფრანგეთის ნაკრების კაპიტნად ზაფხულში არჩეულმა ცენტრალურმა მცველმა, 30 წლის პატრიკ ბატისტონმა გადაწყვიტა გუნდს გამოეთხოვოს. მისი აზრით, აუცილებელია საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების გაახალგაზრდავება და ამიტომაც ვეტერანებმა დროზე უნდა დასტოვონ იგი. მწვრთნელებსაც საშუალება ექნებათ, მსოფლიო პირველობის შესარჩევი მატჩებისთვის ახალი თაობა მოამზადონ.

შიდსი რიგგზეე?

შიდსისგან თავის დასაზღვევად ყველა საშიშროების გათვალისწინებაა საჭირო, მათ შორის კრივის რინგზეც!

ფიქრისა და შეშფოთების საბაბი მე ერთმა სტომატოლოგმა მომცა, რომელიც ქირურგიულ ხელთათმანებსა და გამჭვირვალე დამცავ მუზარადში მუშაობს. ეს წინდახედული კაცია დოქტორი სტოინო პარლაპანოვი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი კრივში, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თეთრი ბაგირების მიღმა არანაკლები სისხლია, ვიდრე კბილის ექიმის კაბინეტში, რინგზე მას არ შეუძლია იმავე ხელთათმანებსა და მუზარადში გამოსვლა.

ჩვენს აზრით, თუ არსებობს რინგზე ინფექციის გადაცემის პოტენციური საშიშროება, საჭირო და აუცილებელიცაა გარანტიის მიცემა როგორც სპორტსმენების, ისევე მსაჯებისთვის. პირველყოვლისა აუცილებელია მოკრივეებისგან მოვითხოვოთ სამედიცინო დასკვნა იმის თაობაზე, რომ ისინი არ არიან ვირუსის მატარებლები. მეორეც — ასპარეზობის დაწყებამდე და ყოველი რაუნდის შემდეგ დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს მოკრივეთა ხელთათმანებს.

ამასთან ერთად ასპარეზობის წესებს უნდა დაემატოს პირობა, რომლის თანახმადაც ორთაბრძოლა სისხლის წვეთების გამოჩენისთანავე შეწყდება. ამ შემთხვევაში რეფერიმ უნდა შეკრიბოს მონაცემები გვერდითი მსაჯებისგან და გამარჯვებულის ვინაობა ქულების მიხედვით გაარკვიოს, მიუხედავად იმისა, თუ რომელ რაუნდში მიიღო მოკრივემ ტრავმა.

ეს თავის დასაზღვევი ზომა არამც და არამც არ არის ზედმეტი, რადგანაც მოკრივე სამედიცინო შემოწმების შემდეგაც შეიძლებოდა გამხდარიყო ვირუსის მატარებელი.

წინადადება შემოგვაქვს, რომ ეს პრობლემა განიხილოს სამყოვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციამ (აიბა), ევროპისა და სხვა კონტინენტების ასოციაციებმა. ეს კი უნდა მოხდეს რაც შეიძლება მალე.

ივან დელჩევი,
აიბა-ს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი.

„სოფიისკიე ნოვოსტი“.

ლენდლმა წააგო

ტოკიოში დამთავრდა ჩოგბურთელ ვაუთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „გრან-პრის“ პროგრამით. აქ მთავარ ფავორიტებად ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი, შვედი სტეფან ედბერგი და გფრ-ის წარმომადგენელი ბორის ბეკერი ითვლებოდნენ.

ლენდლმა მეოთხედფინალში ე. იელენი (გფრ) დაამარცხა — 6:3, 6:0, ედბერგმა — ამერიკელ ჰ. ენკონს მოუგო — 3:6, 6:1, 6:2. საინტერესო ბრძოლით აღინიშნა ბეკერის მატჩი იუგოსლავიელ ს. ჟივოინოვიჩთან. პირველი პარტია ბეკერმა მოიგო — 6:3. მეორე პარტიაში მან ტრავმა მიიღო, მთელი ძალით ვერ იბრძოლა და წააგო — 1:6. მესამე პარტია გერმანელ ჩოგბურთელს მიყავდა (3:0), მაგრამ შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო და გამარჯვება იუგოსლავიელს ჩაეთვალა.

ნახევარფინალში ედბერგმა ჟივოინოვიჩი დაამარცხა — 7:6, 4:6, 6:2, ლენდლმა კი მ. პერნფორსი (შვეცია) — 6:0, 6:2.

ფინალში ერთმანეთს ძველი მეტოქეები შეხვდნენ, მაგრამ ამჯერად ლენდლს ბედმა უმტყუნა. ორ პარტიაში გამარჯვება ედბერგმა მოიპოვა — 6:4, 6:4. ლენდლის ყოველი მარცხი ჩოგბურთის სამყაროში სენსაციადაა მიჩნეული, ამიტომ შვედი სპორტსმენის გამარჯვება სწორედ ასე იქნა კლასიფიცირებული.

მეჯიკ ჯონსონის აზრით

— ამ დღეებში ბევრი იწერება პროფესიულ და სამყოვარულო კალათბურთელთა ძალთა თანაფარდობაზე, — ასეთი კითხვით მიმართა ამერიკელმა ჟურნალისტმა სერე ჰანლიმ ნბა-ს ჩემპიონს, „ლოსანჯელეს ლეიკერსის“ მოთამაშეს მეჯიკ ჯონსონს. მან უპასუხა, რომ „ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება, ვინაიდან არასოდეს მინახავს როგორ თამაშობენ კალათბურთს ევროპაში, მაგრამ იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რასაც ევროპის კლუბებში მოთამაშე კოლეგა-პროფესიონალები მიყვებიან, ევროპელები ჯერ მზად არ არიან კონკურენცია გაუწიონ კალათბურთის გამომგონებელ ამერიკელებს. მილუოკის ტურნირმა დაადასტურა ჯონსონის მოსაზრება.

სეულში, ოლიმპიურ კვირეულზე

მომავალი ოლიმპიადის ქალაქ სეულში ჩატარდა ველოსიპედისტთა კვირეული და სპორტის ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის მიერ ორგანიზებული უსი-ს კომისართა თორმეტდღიანი სემინარი, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჩვენი თანამემამულე, ფიაკ-ისა და უსი-ს ტექნიკური კომისიების წევრი მირონ ბარამია გახლდათ. მას ესაუბრა ჩვენი კორესპონდენტი.

● როგორ იყო წარმოდგენილი ამ კვირეულში მსოფლიო ველოსპორტი?

— სეულში ფაქტიურად „მსოფლიო ველოსპორტის ყველა „ვარსკვლავი“ ჩამოვიდა. შეჯიბრებაში თექვსმეტი ქვეყნის ასზე მეტი ველოსიპედისტი გამოდიოდა.

● როგორი შთაბეჭდილება დატოვა ოლიმპიურმა ველოტრეკმა?

— მომავალი ოლიმპიადის მონაწილენი მას უკვე კარგად იცნობენ. შეჯიბრება მოეწყო ხის ღია ტრეკზე, რომლის სიგრძე 333,33 მეტრი გახლავთ. ამინდი იყო თბილი და ქარიანი.

● მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ხომ არ იგრძნობოდა სპორტსმენთა შორის ერთგვარი „დეპრესია“?

— ეს მუდამ ასეა. რომელიმე დიდი შეჯიბრების შემდეგ, რომლისთვისაც სპორტსმენები დიდხანს და გულმოდგინედ ემზადებიან, ისინი ჩვეულ ფორმას ჰკარგავენ. ეს მუდამ უნდა მივიღოთ [illegible]ედველობაში და მაინც, სეულ[illegible] პროგრამის სხვადასხვა სახეო[illegible] მონაწილეებმა საკმაოდ მა[illegible] შედეგები აჩვენეს.

● ვისი გამოყოფა შეგიძლიათ [illegible]ვან?

[illegible]დრ-ის წარმომადგენლების [illegible] ჰესლიჰისა და იენს გლიუკ[illegible]ის, საბჭოთა ველოსიპედისტე[illegible]ერიკა სალუმიაეს, ვიაჩესლავ [illegible]ამოვის, გამოდევნებით გუნდურ რბოლაში მონაწილეთა ოთხეულის.

● გინტაუტას უმარასმა, თუ არ ვცდებით, სეულში მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

— გუნდურ რბოლაში იგი არ გამოსულა. მსაჯთა კოლეგიას სხთოვა მსოფლიო რეკორდის შტურმის ნება დაერთოთ და როცა მათგან თანხმობა მიიღო, 4 კილომეტრზე რბოლის სტარტზე გამოვიდა და მიზანსაც მიაღწია.

● სპრინტერთა ასპარეზობაში რატომ გამოვიყვანეთ ერთადერთი მონაწილე?

— ნაკრების მწვრთნელების ეს გადაწყვეტილება ცოტა მოულოდნელი იყო. ნიკოლოზ კოვშმა აქ ვერცხლის ჯილდო მოიპოვა. მაგრამ ოთარ ჩუდლიშვილსა და ვლადიმერ სულთანოვსაც შეეძლოთ კარგად გამოსვლა.

● მით უფრო, რომ ქალთა სპრინტში საბჭოთა კავშირი სამი ველოსიპედისტით იყო წარმოდგენილი?

— ეს მთლად ასე არ იყო. სეულის ოლიმპიური კვირეულის ორგანიზატორები ერთ სახეობაში ორ-ორ მონაწილეს უშვებდნენ ყოველი ქვეყნიდან. ჩვენ მართალია სამი სპრინტერი (სალუმიაე, ცარიოვა და კრუშელნიცკაია) ჩავიყვანეთ, მაგრამ მათ შორის არჩევანი უნდა გაგვეკეთებინა. სალუმიაე კონკურენციის გარეშე იყო. მისი მონაწილეობა შეჯიბრებაში არავის ეეჭვებდა. ამიტომ ნაკრების უფროს მწვრთნელს კუზნეცოვს მეორე კანდიდატი უნდა მოეძებნა თავის მეუღლეს ცარიოვასა და კრუშელნიცკაიას შორის.

● და მან მეუღლე აირჩია?

— ამ დელიკატური საკითხის გადაწყვეტაში მწვრთნელს კრუშელნიცკაია „დაეხმარა“ — საკვალიფიკაციო რბოლაში მან ცარიოვაზე უარესი შედეგი აჩვენა და ყველაფერი ამან გადაწყვიტა.

● რა იყო თქვენი სემინარის მიზანი?

— შევამოწმეთ აზიის ქვეყნების მსაჯთა მომზადების დონე და შევარჩიეთ უსი-ს კომისართა კანდიდატები.

● პრაქტიკულად როგორ მიმდინარეობდა სემინარი და გამოცდები?

— ეს ამბავი ოთხს დაგვევალა, მე, უსი-ს გენერალურ მდივანს პოლონელ მიხალ ეკელს, დანიელ იბ ვიგნ ჰანსენს და ინგლისელ ნორმან შალმერდაინს. შემდეგ კი გამოცდები დაიწყო, 19 კანდიდატმა კარგად ჩაბარა ისინი და უსი-ს საერთაშორისო კომისრის წოდება მიიღო. მათ შორის გამორჩეული ჰონკონგელი ფრედერიკი ოლიმპიადის მსაჯთა სიაში ჩავრიცხეთ.

● როგორც გვახსოვს, შარშან შეარჩიეთ ოლიმპიური ტრასა გზატკეცილზე მოსახპარზეთათვის?

— დიახ ასეთი ტრასა ჩვენ შარშან მართლაც შევარჩიეთ და მან უკვე გაიარა გამოცდა. შარშანვე ამ ტრასაზე აზიის თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ველოსიპედისტთა ტურნირი ჩატარდა. ტრასა მართლაც ჩინებულია და სპორტსმენთა მოწონება დაიმსახურა.

● საინტერესოა როგორ გადაწყდა თქვენი დავა ამერიკული სატელევიზიო კომპანიის უნ-ბი-სის ხელმძღვანელებთან?

— ეს ტელეკომპანია, ბუნებრივია, რეპორტაჟებისთვის ხელსაყრელ დროს ეძებს, იგი ჩვენს ორგანიზაციასაც ედავებოდა ამ საკითხზე, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ტელერეპორტაჟები ჩატარდება სპორტსმენთათვის ხელსაყრელ დროს. კომპანია ბოლოს და ბოლოს ამ აზრს შეურიგდა. ამერიკელ ტელემაყურებელს, როგორც ჩანს, „თავის შეწუხება“ მოუხდება.

● და კიდევ ერთი განყენებული კითხვა, თქვენ, როგორც ველოსპორტის სპეციალისტს. „ლელოს“ მკითხველები ხშირად გვეკითხებიან, როგორი შეფარდებაა მოყვარულ და პროფესიონალ ველოსიპედისტთა შორის და რა გვიჩვენა ამ მხრივ ვენაში ჩატარებულმა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატმა?

— სატრეკო ველოსპორტის სახეობებში ეს შეფარდება ჯერჯერობით, მოყვარულთა სასარგებლოდაა. ასე მაგალითად, პროფესიონალთა რეკორდი 200 მეტრზე რბოლაში (დახურულ ტრეკზე) უდრის 10,587. ეს რეკორდი წლეულს ვენაში იტალიელმა კლაუდიო გორინელიმ დაამყარა. მოყვარულთა რეკორდი კი, რომელიც ნიკოლოზ კოვშს ეკუთვნის 10,123-ია.

● მაგრამ ჩვენ გვახსოვს, რომ გერმანელმა ლუც ჰეხლიჰმა კილომეტრის ტრეკზე კიდევ უფრო უკეთესი დრო აჩვენა — 10,021.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ ეს შედეგი მსოფლიო რეკორდად ტექნიკური მიზეზების გამო არ დამტკიცდა.

● გორინელი მსოფლიო რეკორდსმენია ამ სახეობაში, იაპონელი ნობუიუკი ტავარა კი მსოფლიო ჩემპიონი პროფესიონალთა შორის სპრინტში. საინტერესოა როგორ გამოვიდოდნენ ისინი მოყვარულთა ტურნირში?

— ჩემის აზრით, პრიზიორთა შორის ვერ მოხვდებოდნენ.

● ესე იგი გამოდის რომ მოყვარულებს სატრეკო ველოსპორტის ყველა სახეობაში პროფესიონალებზე უკეთესი შედეგები აქვთ?

— არა, ასე არ არის. ზოგ სახეობაში პროფესიონალთა მიერ ნაჩვენები შედეგები მოყვარულთათვის ჯერჯერობით მაინც, მიუღწეველია, ბაგრამ ეს უკვე ცალკე საუბრის თემაა.

ხაჭართველოს სპორტულმა მოძრაობამ [illegible]ა ადამიანი, რომელიც 50 [illegible]ის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა რესპუბლიკაში ჩოგბურთის განვითარებისა და მოზარდი პედაგოგების აღზრდის საქმეს.

არჩილ ელერდაშვილი დაიბადა 1920 წელს, თბილისელი ჩოგბურთელების უსაყვარლესი ადამიანის ნიკო ელერდაშვილის ოჯახში. არჩილი ჯერ კიდევ ომამდე ითვლებოდა სახელმოხვეჭილ ჩოგბურთელად. 1941 წელს ომი დაიწყო და ფრონტზე გაიწვიეს. ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრებისთანავე (1948 წ.) საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, სადაც სიცოცხლის ბოლო დღემდე იმსახურა.

ოთხი ათეული წელი ა. ელერდაშვილი პირნათლად ასრულებდა თავის ვალს — ეწეოდა დიდ სასწავლო, სამეცნიერო-მეთოდურ და სპორტულ მუშაობას, აღზარდა საქართველოს ნაკრები გუნდის ბევრი წარმომადგენელი. მისი თაოსნობით დაწესდა და დღესაც საინტერესოდ ტარდება ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტის, საბჭოთა კავშირის გმირის ვახტანგ ლეჟავას მემორიალი.

ელერდაშვილს მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება. იყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი. მიღებული ჰქონდა მედლები საბრძოლო და შრომითი მამაცობისათვის.

არჩილ ელერდაშვილი, როგორც სპორტსმენი, მწვრთნელი და პედაგოგი, შესანიშნავი ადამიანი და მეგობარი, ღირსეულ კვალს დატოვებს რეხაუბლიკის სპორტის ისტორიაში. მისი ხსოვნა მარად იცოცხლებს ყველა ჩვენგანის გულში.

საქართველოს სპორტსკომი, საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

ფრანც ბეკენბაუერის ბოლო კარიერა

მისი სახელი მთელს მსოფლიოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთის თავისებური საფირმო ნიშანი გახდა. ფრანც ბეკენბაუერი (იგი 41 წლისაა) ერთ-ერთი მეტად პოპულარული ადამიანია თავის ქვეყანაში. ეს არის კაცი, რომელმაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია ფეხბურთში არა მარტო როგორც მოთამაშემ, არამედ, როგორც ეროვნული გუნდის ხელმძღვანელმაც. მისი მეთაურობით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებმა მექსიკის 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა.

ფედერალური მწვრთნელი საზოგადოების დიდი პატივისცემით სარგებლობს. ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში, როდესაც სახელგანთქმულმა ზეპ ჰერბერგერმა, 1936-1954 წლებში ეროვნულ გუნდს რომ წვრთნიდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახადა. თუმცა, ყველას, ვისაც ეს თანამდებობა უჭირავს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და გულშემატკივრები ფხიზელ კონტროლს უწევენ. ხშირად ფედერალური მწვრთნელი და მისი ტაქტიკური ხერხები ცხარე კამათის საგანი ხდება, წარუმატებლობის შემთხვევაში მას გამანადგურებელ შეფასებას აძლევენ.

მიუხედავად იმისა, რომ ბეკენბაუერს ფეხბურთის მწვრთნელის ლიცენზიაც კი არ ჰქონდა, მან მიიღო გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ჰერმან ნიობერგერის წინადადება, რომელიც ერთგვარ გამოწვევადაც კი ჩათვალა. საფეხბურთო კავშირმა უღალატა ძველ პრინციპებს და უშუალოდ ფრანც ბეკენბაუერისათვის, რომელსაც არც სპორტული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და არც ფეხბურთის მწვრთნელის კურსები, ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელის საშტატო ერთეული დაუშვა.

დიდი იყო ფეხბურთის გულშემატკივრების მოლოდინი. სამოცდაათიან წლებში ფრანც ბეკენბაუერი თავისი ელეგანტური თამაშით ხელს უწყობდა ფეხბურთის პოპულარიზაციას მოსახლეობის ყველა ფენაში და ახლა ელოდნენ, რომ იგი თავის გუნდს იმ დონემდე აიყვანდა, რა დონეზეც იგი მისი კაპიტნობის დროს იყო: მსოფლიოს მწვერვალზე.

თავდაპირველად ფრანც ბეკენბაუერმა მართლაც გაამართლა ეს იმედი: იმის მიუხედავად, რომ 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ შეჯიბრებაში გერმანიის საფეხბურთო კავშირის გუნდი ყველაზე რთულ ჯგუფში აღმოჩნდა, შეჯიბრების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე უკვე გაიოქცა, რომ იგი გაიმარჯვებდა. არც ისე ადვილი დასადგენია, რამ განაპირობა ეს სწრაფი მოულოდნელი წარმატება. ცხადია, გარკვეული როლი შეასრულა თვით ფრანც ბეკენბაუერის უშუალოდ გუნდში ყოფნამ. „ფრანცი ჩვენთვის აუწონელი ოქროა“, — ამბობდა მაშინ გუნდის კაპიტანი კარლ-ჰაინც რუმენიგე.

ცნობილი მწვრთნელის ლუის მენოტის მტკიცებით, ჯერჯერობით ვერც ერთი გამოჩენილი ფეხბურთელი ვერ გახდა კარგი მწვრთნელი, მაგრამ ხომ არსებობს გამონაკლისი. ფრანც ბეკენბაუერმაც ხელმძღვანელის ისეთი თვისებები გამოავლინა, არავინ რომ არ მოელოდა. მან ჩინოვნიკები ფეხბურთს ჩამოაცილა და კუთვნილი ადგილი მიუჩინა, თავის მოთამაშეებს, ისევე, როგორც ზეპ ჰერბერგერი, სასტუმროების ნაცვლად სპორტულ სკოლებში ამწესებდა, გადააჩვია ისინი შეცდომების შიშს, გუნდში მოიწვია ახალგაზრდა ტალანტები. ცალკეულ მოთამაშეებს მეტი თავისუფლება მისცა მინდორზე, რითაც ყველა ფეხბურთელს და მაშასადამე, მთელ გუნდს საკუთარი ძალების რწმენა გაუძლიერა. ამის გამო კვლავ ამაღლდა თამაშის მნიშვნელობა, ნახევარმცველები ახალ-ახალ იმპულსებს ამჟღავნებდნენ, ფეხბურთელებმა კვლავ დაიწყეს პირდაპირი კომბინაციების გაშოყენება.

ცალკეული წარუმატებლობების მიუხედავად, რომელთა გადატანა ფრანც ბეკენბაუერსაც მოუხდა, მასზე მინდობილ გუნდს არც ერთი თამაში არ წაუგია იმ მატჩებიდან, რომელთა წაგების უფლება არ ჰქონდა. ასე იყო სანამ ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატზე მარცხი არ იწვნია არგენტინელებთან თამაშში (2:3). გუნდის სპორტული აღმფრთენის მიუხედავად, მისი ხელმძღვანელის ავტორიტეტი აცტეკთა ქვეყანაში ერთგვარად შეირყა ჯერ კიდევ ბოლო ტურის დროს, რადგან ფეხბურთში ესთეტად ცნობილმა ფრანც ბეკენბაუერმა უპირატესობა ათლეტებსა და მორბენლებს მიანიჭა და არა ლამაზ და ტექნიკურ თამაშს. ფიზიკურმა სიძლიერემ და ჩინებულმა ფორმამ, გამძლეობამ და ათლეტურმა შესაძლებლობებმა ნაკრების წარმატება უზრუნველყო მხოლოდ ნახევარფინალში, ფრანგებთან შეხვედრაში (2:0), როცა გუნდმა დიდი მახვილგონიერულობითა და კომბინაციების კასკადით გაიბრწყინა.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ფრანც ბეკენბაუერს ჰკითხეს, კვლავ საოცნებოდ ესახება თუ არა თავისი საქმე, მან უპასუხა: „არა, შვება არ მიგვრძნია. საზოგადოება ჩემგან და გუნდისაგან, არც მეტი, არც ნაკლები, ევროპის ჩემპიონატში, რომელიც ჩვენთან 1988 წელს ჩატარდება, გამარჯვებას მოელის, მწვრთნელის აზრით, ძირითად პრობლემად ისევ რჩება აქცენტის გადატანა ძალისმიერ ფეხბურთზე და სათამაშო ხაზის უგულებელყოფაზე. მსურს მივაღწიო, — განაგრძო ბეკენბაუერმა, — ძლოვანი და ტექნიკური ხერხების ჰარმონიულ შერწყმას. ასე იყო 1972-74 წლების ნაკრებში, როცა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით“. ნათელია, რომ საკუთარი წარსული, მოთამაშის წარსული, მწვრთნელს გასაქანს არ აძლევს. თუმცა მას ხომ სწორედ ამიტომ მიანდეს გუნდის ხელმძღვანელობა.

მასალა მოამზადა
გელა ჯიღლავამ.

მერებ ღვინაძის
ფოტორეპროდუქცია.

ციხეში ეკრანზე

ცენტრალური ტელევიზია. 29 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**, რიტმული ტანვარჯიში — **19.10 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **20.00 (1)**; ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (გადმოცემა ბელგიიდან) — **21.15 (2)**; მსოფლიო თასი კრივში (გადმოცემა იუგოსლავიიდან) — **22.50 (2)**; საერთაშორისო შეჯიბრება ველოსპორტში — **0.10 (2)**.

30 ოქტომბერი. დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი — **15.05 (2)** და **0.40 (2)**; მსოფლიო თასი კრივში — **19.15 (2)**; საერთაშორისო შეჯიბრება ველოსპორტში — **21.30 (2)**; საერთაშორისო ამხანაგური მატჩი ჰოკეიში: ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი — **22.50 (2)**; მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში — **1.05 (1)**.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

„ლელოს“ ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 92-97-55,
სამდივნო — 92-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 92-97-53,
„მერანი“ — 92-97-26, „მართვე“ — 92-97-27.

ჩვენი ინდექსი 64435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08068

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.